საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.№35. ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87. ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**სტომატოლოგია** უმაღლესი განათლების ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**დიპლომირებული სტომატოლოგი**
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	**300 კრედიტი**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	მოამზადოს თანამედროვე სამედიცინო მოთხოვნების, მაღალი აკადემიური განათლების, ღრმა და საფუძვლიანი თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობების მქონე, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამის კვალიფიციურ ექიმი სტომატოლოგები, რომლებიც მზად იქნებიან სწავლების უფრო მაღალ საფეხურებზე (რეზიდენტურაში ან დოქტორანტურაში) სწავლის გასაგრძელებლად. პროფესიული ფასეულობების გარდა, სპეციალისტი ორიენტირებული უნდა იყოს ზოგადსაკაცობრიო პრინციპებზე დაფუძნებულ, ერთიან ევროპულ სივრცესთან ინტეგრირებულ, ჰუმანიზმის, ლიბერალური დემოკრატიის ზნეობრივ ღირებულებებზე.
სწავლის შედეგები	პროგრამის ათვისების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა ადამიანის ნორმალური აგებულების, ფუნქციებისა და განვითარების, ნორმისა და პათოლოგიის მექანიზმების შესახებ; სტომატოლოგიური დაავადებების როლი და ადგილი ორგანიზმის ზოგად პათოლოგიაში; შეეძლებათ პაციენტის კონსულტირება, გამოკვლევის ჩატარება, დიაგნოსტიკა, დიფ. დიაგნოსტიკა, მკურნალობის გეგმის შედგენა, გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის შეფასება და პირველადი დახმარების აღმოჩენა; ინფექციის კონტროლისა და უსაფრთხოების წესების გათვალისწინება; მედიკამენტების გამოწერა - რაციონალური და უსაფრთხო ფარმაკოთერაპიის პრინციპების გათვალისწინებით; შეეძლებათ ეფექტური წერილობითი და ვერბალური კომუნიკაცია აუდიტორიასთან, პაციენტთან, პაციენტის ახლობლებთან და კოლეგებთან; მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის, საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება, შემდგომი სწავლისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროების აუცილებლობის განსაზღვრა, პაციენტისა და კოლეგების უფლებების დაცვა, კორპორაციული ეთიკის ღირებულებათა პატივისცემა, დეონტოლოგიისა და სამართლებრივი პრინციპების გათვალისწინება.
შეფასების წესი:	სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგნაირად: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა; ვ) (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. ზ) (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: **მზია ბაქრაძე** - ასოცირებული პროფესორი, სტომატოლოგიის დეპარტამენტი. ტელ: (+995591) 98 87 77. ელ.ფოსტა: mzia.bakradze@bsu.edu.ge